



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

ტრანსპორტის დეპარტამენტი

**სამაგისტრო პროგრამა:  
გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:  
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
საინჟინრო მეცნიერებათა მაგისტრი გადაზიდვების ორგანიზაციასა და მართვაში

პროგრამის მოცულობა:  
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: თეიმურაზ კოჩაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტ. 893-564-299  
E-mail: [temko1954@mail.ru](mailto:temko1954@mail.ru)

ქუთაისი  
2008

## პროგრამის მიზანი და ამოცანები:

სპეციალისტების მომზადება გადრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობისათვის ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-სამმართველო და პედაგოგიური მუშაობისათვის

პროგრამის ამოცანაა, მოამზადოს მაგისტრები სატრანსპორტო გადაზიდვების მენეჯერის და მოძრაობის უსაფრთხოების კვალიფიკაციით. სპეციალისტი ერთნაირად კარგად ფლობს ტრანსპორტის სფეროს ყველა მხარეს: ტექნიკურს, ორგანიზაციულს და ეკონომიკურს. პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტების საბაზო მომზადებას, რომელთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს გადაზიდვების ერთიანი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა კონკრეტულ ბიზნეს გარემოში.

## მოსალოდნელი შედეგები:

სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება; ექსპერიმენტის ჩატარების უნარი (მონაწილეობა), დაკვირვებებისა და მონიტორინგის ჩატარება, დაკვირვებების პირობების აღწერა და მონიტორინგის შედეგებზე დასკვნის გამოტანა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრების მოდერნიზაციისა და ექსპლუატაციის პროცესში; სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემების ოპერატიული მართვის მეთოდის და პროგრამის შემუშავება; სატრანსპორტო სისტემების და ქსელების განვითარებისათვის მიღებული გადაწყვეტილებების ტექნიკური დასაბუთების შედგენა; სატრანსპორტო სისტემებისა და ქსელების ფუნქციონირების იმიტაციური და მათემატიკური მოდელების შედგენა; სატრანსპორტო ტექნიკის არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი. საავტომობილო გადაზიდვების სიჩქარითი რეჟიმების ნორმირებისა და კონტროლის მეთოდების დამუშავება. სატრანსპორტო ნაკადის მახასიათებლების მათემატიკური მოდელებით კვლევა.

**პროგრამის სტრუქტურა**

N	დისციპლინის დასახელება	გამოცდა	სააუდიტორიო მუშაობა					კრედიტების რაოდენობა					საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				
			სულ	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	I სემ.	II სემ.კ	III სემ	IV სემ.	სულ	I კურსი		II კურსი			
												I სემ	II სემ	III სემ	IV სემ		
												12	15	15	12		
1.	<b>მოდული 1.</b>		411	111	140	160					50						
2.	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემები		126	42	30	54	5	10			15	3	6				
3.	სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი		45	15	30				5	5				3			
4.	მულტიმოდალური გადაზიდვები		90	30	30	30			10	10				6			
5.	სატრანსპორტო ლოჯისტიკა		72	24	24	24				10	10						6
6.	აუტოსოსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში.		78		26	52			5	5	10			3	3		
7.	<b>მოდული 2.</b>		411	111	140	160					50						
8.	სატრანსპორტო ნაკადების თეორია		126	42	30	54	5	10			15	3	6				
9.	საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება		90	30	30	30			10	10				6			
10.	მოძრაობის ავტომატიზირებული მართვა		45	15	30				5	5				3			
11.	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების კომპლექსური ანალიზი და კვლევა		72	24	24	24				10	10						6
12.	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე		78		26	52			5	5	10			3	3		
13.	<b>ყველა მოდულისათვის სავალდებულო საგნები</b>		243	90	117	36					60						
14.	უცხო ენა		81		81		5	5			10	3	3				
15.	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები		18	12	6		2.5			2.5	1.5						
16.	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები		36			36	5			5	3						
17.	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია		18	18			2.5			2.5	1.5						
18.	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი		45	30	15			5		5		3					
19.	მათ. მოდელირება საინჟინრო საქმეში		45	30	15			5		5		3					
20.	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა						5	5	5	5	20						
21.	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა								5	5							
22.	სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა									5	5						
23.	<b>არჩევითი საგნები (აირჩევა 2 საგანი)</b>		72	24	48					10							
24.	სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი		+	+	+					+	+						+

25.	კომერციულ სამუშაოთა ორგანიზაცია ტრანსპორტზე	36	12	24					5	5				3
26.	სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	36	12	24		5				5	3			
27.	ტრასეკა და ევრაზიის სატრანსპორტო სისტემები	+	+	+		+				+	+			
28.	<b>სულ თითოეული მოდულისათვის:</b>	<b>726</b>	<b>228</b>	<b>308</b>	<b>196</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>	<b>15</b>	<b>15</b>	<b>12</b>	<b>9</b>

**სასწავლო პრაქტიკა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა:**

პრაქტიკის დასახელება	სემესტრი	კვირათა რაოდენობა	კრედიტი	შენიშვნა
სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	3		5	
სამეცნიერო-კვლევითი (პროფესიული) პრაქტიკა	4		5	
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა	1,2,3,4		20	

## სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.